



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N16**

ქ. ლანჩხუთი

23. 08. 2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება. კეძოდ, მიმდინარე წლის 17 აგვისტოს N1621 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 431101 ლარი ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არისა და ასფალტ-ბეტონის მოწყობის სამუშაოებზე. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 409545 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით-21556 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 აგვისტოს N1622 განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 600000 ლარი.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, საიდან იქნა მოძიებული თანადაფინანსების თანხა, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ თანადაფინანსება განხორციელდება ქონების გადასახადის გეგმის გადაჭარბების ხარჯზე.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციას ესაჭიროება დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დაზიანდა სტიქიის შედეგად და რა კეთდება, რათა ფრაქციის სხდომაზე გულისყურით განიხილონ აღნიშნული საკითხი და არ არის გამორიცხული, რომ მათი მხრიდანაც იქნას მიწოდებული გარკვეული წინადადებები.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის საკითხი განსახილველად უნდა გამოიტანოს მუნიციპალიტეტის მერმა და არა სამსახურის უფროსმა. ამასთან, საკრებულოს წევრებს არასდროს არ მიეწოდებათ სრული ინფორმაცია, თუ რაზე იხარჯება ეს თანხები.

მერის პირველი მოადგილემ, გიორგი ფაცურიამ განაცხადა, რომ ის იღებს პასუხისმგებლობას, რათა საკრებულოს ოფიციალურად მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი
მიღებულ იქნა განკარგულება №80 (23.08.2018)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

